სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა

დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

2023 წელი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა გორის მუნიციპალიტეტში

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

პროექტი მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის მენეჯერი: მარინე მღებრიშვილი

ექსპერტი: ნათია გოფოძე - ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“

სარჩევი

შესავალი: **2**

შეხვედრების დღის წესრიგი: **2**

მონაწილეთა სია **3**

იდენტიფიცირებული პრობლემები: **4**

სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა **6**

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

გორის მუნიციპალიტეტი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში

შესავალი:

პროექტის „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“ ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის ოთხი შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში. შეხვედრების მიზანი იყო შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული ბარიერების გამოკვეთა, მათი გადალახვის გზებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფში იყვნენ გორის მერიის წარმომადგენლები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი, შშმ პირები. შეხვედრების ფასილიტაციას უზრუნველყოფდა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“.

შეხვედრების დღის წესრიგი:

დრო	განსახილველი საკითხი
I შეხვედრა - 27 ნოემბერი	
10:00 – 13:00	– პროექტის პრეზენტაცია – შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორები
II შეხვედრა - 28 ნოემბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი – პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა
III შეხვედრა - 4 დეკემბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკა - სამომავლო ხედვა – შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი ქმედებების იდენტიფიცირება
IV შეხვედრა - 5 დეკემბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯების განსაზღვრა – მუნიციპალიტეტისათვის წარსადგენი საბოლოო რეკომენდაციების დამუშავება

მონაწილეთა სია

#	სახელი და გვარი	ორგანიზაცია	პოზიცია
1	ლარისა ეგნატაშვილი	ააიპ კოლეჯი განთიადი	ინკლიზიური განათლების სპეციალისტი
2	დავით ჩიხრაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალური განყოფილების უფროსი
3	ნინო ხუციშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მერის თანაშემწე
4	დიანა ბერიძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი
5	დალი ტლაშაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ფინანსური სამსახურის უფროსი
6	ჯულიეტა შიუკაშვილი	შპს „გოლდი“	დამფუძნებელი
7	ანა დავითაშვილი		(შშმ სტატუსის მქონე პირი)
8	ნანა დავითაშვილი	კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის	დამოუკიდებელი აქტივისტი (შშმ სტატუსის მქონე პირი)
9	სოფიო ჯიქური	SESA	შიდა ქართლის წარმომადგენელი
10	ნანი ნალიყაშვილი	კოლეჯი განთიადი	სურდო თარჯიმანი
11	თამარ ვათიაშვილი	ააიპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი	სპეციალური პედაგოგი
12	გიორგი ციცქიშვილი	შპს ჯორჯია გოლდი	მენეჯერი
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			

იდენტიფიცირებული პრობლემები:

სამუშაო ჯგუფის მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზა არ არის სრულყოფილი
- შშმ პირებს არ აქვთ სათანადო განათლება/პროფესიული უნარები
- არა ადაპტირებული გარემო/ტრანსპორტით სარგებლობის სირთულე
- სოციალური საწარმოების ნაკლებობა
- არ ხდება კერძო სექტორის წახალისება, რომ მათ დაასაქმონ შშმ პირები
- პერსონალური ასისტენტის სერვისის არარსებობა
- შშმ პირებისთვის არ ტარდება საქმიანი უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები

პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, მოხდა პრიორიტეტული საკითხების შერჩევა და მათი უფრო დეტალურად გაანალიზება სამუშაო ჯგუფის ფორმატში. მონაწილეებმა პრიორიტეტულად მიიჩნიეს შემდეგი საკითხები:

- **მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზა არ არის სრულყოფილი**

  მუნიციპალიტეტს აქვს შშმ პირთა ბაზა, რომელიც შეიქმნა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, თუმცა ბაზა საჭიროებს განახლებას. ერთის მხრივ, საჭიროა ბაზაში არსებული ინფორმაციის გადამოწმება/განახლება. მეორეს მხრივ, არიან შშმ პირები, რომლებიც არ არიან ბაზაში რეგისტრირებულნი და საჭიროა მათი მონაცემების დამატება.

  ბაზასთან დაკავშირებით გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აქვს მზაობა, აქტიურად ჩაერთოს შშმ პირების დასაქმების პროცესში, თუმცა მათ არ აქვთ წვდომა მერიის ბაზაზე. შესაბამისად, ბაზის განახლების პარალელურად, საჭიროა, ბაზაში არსებული პირებისგან წერილობითი თანხმობის მიღება, რათა მათ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მიეცეს დასაქმების სააგენტოს.

- **არა ადაპტირებული გარემო/ტრანსპორტით სარგებლობის სირთულე**

  ხშირად შშმ პირთა დასაქმებაში მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი არის არა ადაპტირებული შენობები და ტრანსპორტი. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ძველი შენობები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, რომლის უმეტესობაშიც არ არის დამონტაჟებული ლიფტი. შესაბამისად, გადაადგილების სირთულის მქონე შშმ პირებისთვის დამოუკიდებლად სახლიდან გასვლაც კი წარმოუდგენელია.

  პრობლემები იკვეთება მუნიციპალური ტრანსპორტის კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ გორში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებულია, მაინც რჩება მოსაგვარებელი საკითხები, კერძოდ: ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებაში პანდუსები არ მუშაობს გაუმართაობის გამო ან ტრანსპორტში არ არის საკმარისი სივრცე ეტლისთვის; შშმ პირებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია ზოგ ქუჩაზე გაჩერებებს შორის დიდი მანძილი და ასევე არა ადაპტირებული გაჩერებები.

- **არ ხდება კერძო სექტორის წახალისება, რომ მათ დაასაქმონ შშმ პირები**
  კერძო სექტორს ნაკლები დაინტერესება აქვს შშმ პირების დასაქმების კუთხით, რადგან სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს მათი წახალისების მექანიზმი. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს საგადასახადო შეღავათი შშმ პირთა დასაქმების შემთხვევაში. მუნიციპალურ დონეზე ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არ არსებობს, თუმცა მერიის უფლებამოსილების ფარგლებშიც არის შესაძლებელი კერძო სექტორის წახალისება და მათი მოტივაციის გაზრდა, რომ დაასაქმონ მეტი შშმ პირი.

- **სოციალური საწარმოების ნაკლებობა**
  მუნიციპალიტეტში არის მხოლოდ რამდენიმე სოციალური საწარმო. ასეთი საწარმოები ქმნის, ერთის მხრივ, შშმ პირთა დასაქმების, მეორეს მხრივ, კვალიფიკაციის ამაღლების და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მერიის მხარდაჭერა ახალი სოციალური საწარმოების შექმნის/განვითარების პროცესში.

სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა

ოთხი შეხვედრის განმავლობაში ინტენსიური მსჯელობის შედეგად, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინება რეკომენდაციის სახით.

მიზანი: შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა		
ამოცანა 1: მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზის სრულყოფა		
რეკომენდირებული ნაბიჯები	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**განხორციელების პერიოდი**
ნაბიჯი 1: მერიის სოციალურ სამსახურში ბაზის სრულყოფის პროცესზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2024 წელი
ნაბიჯი 2: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	2024 წელი
ნაბიჯი 3: სამუშაო ჯგუფის ფორმატში კითხვარის განახლება, რომლის მიხედვითაც მოხდება შშმ პირებზე ინფორმაციის მოგროვება	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო • „საზოგადოება ბილიკი“	2024 წელი
ნაბიჯი 4: პერსონალურ მონაცემთა გაცემაზე თანხმობის ფორმის შემუშავება	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	2024 წელი
ნაბიჯი 5: განახლებული კითხვარის გამოყენებით მონაცემების გადამოწმება/განახლება	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • ადგილობრივი წარმომადგენლები/რწმუნებულები	2024 წელი
ნაბიჯი 6: განახლებული ბაზის გაზიარება დასაქმების ხელშეწყობის ეროვნული სააგენტოსთვის	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2024 წელი
დამატებითი რეკომენდაცია	რადგან კალენდარული წლის დასაწყისში მერიაში მაღალია სოციალური დახმარების მიმღებ შშმ პირთა მიმართვიანობა, პარალელურად მერიის თანამშრომლებმა შესაძლოა შეავსებინონ მათ კითხვარი და გააცნონ თანხმობის ფორმა.	

ამოცანა 2:შშმ პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა		
ნაბიჯი 1: გაჩერებების ადაპტირება	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2024 წელი
ნაბიჯი 2: შშმ პირებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის გადასახადზე შეღავათის დაწესება	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო	2024 წელი
ნაბიჯი 3: სადაც შესაძლებელია, დამატებითი გაჩერებების მოწყობა ისეთ მონაკვეთებზე, სადაც გაჩერებებს შორის არის დიდი მანძილი და/ან მოთხოვნით გაჩერების დაშვება (გაჩერების მოთხოვნის ღილაკის გამოყენებით)	• გორის მუნიციპალიტეტის მერია • გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო	2024 წელი
ამოცანა 3: კერძო სექტორის წახალისება, რათა მათ დაასაქმონ შშმ პირები		
ნაბიჯი 1: სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს მერის მოადგილე სოციალურ საკითხებში. ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება კერძო სექტორის წახალისების მიზნით კონკრეტული ინიციატივების განხორციელებაზე	• გორის მუნიციპალიტეტის მერია	2024 წლიდან
შესაძლო ინიციატივები/ ღონისძიებები კერძო სექტორის წასახალისებლად	• მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე უფასოდ განთავსდეს იმ კომპანიების რეკლამა, რომლებმაც დაასაქმეს შშმ პირები • შშმ პირების დასაქმების შემთხვევაში კომპანია გათავისუფლდეს დასუფთავების მოსაკრებლისგან • სიმბოლური ჯილდო/სიგელი გადაეცეს კომპანიას, რომელიც დაასაქმებს შშმ პირებს • საჯაროდ გავრცელდეს ინფორმაცია შშმ პირთა დასაქმების წარმატებული მაგალითების შესახებ (შესაძლოა მომზადდეს ვიდეო რგოლი, რომელიც გაშუქდება ტელევიზიით, იტრიალებს ქალაქში დამონტაჟებულ მერიის ეკრანებზე და გავრცელდება მერიის და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით	

ამოცანა 4: სოციალური საწარმოს შექმნის ხელშეწყობა		
ნაბიჯი 1: სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამაში ცალკე სოციალური მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა	• გორის მუნიციპალიტეტის მერია	2024 წელი